

## სინონიმია საზღვაო ტერმინოლოგიაში

ნინო ფუტკარაძე<sup>1</sup>; ლეილა ხარდინა<sup>2</sup>

<sup>1</sup>ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო; E-mail: [n.putkaradze@bsma.edu.ge](mailto:n.putkaradze@bsma.edu.ge); <sup>2</sup>ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო E-mail: [l.khardina@bsma.edu.ge](mailto:l.khardina@bsma.edu.ge)

### აბსტრაქტი

ტერმინოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება უკავშირდება ტერმინთა სინონიმის ზრდას. სინონიმია საზღვაო ტერმინოლოგიაში არის ისეთი ენობრივი მოვლენა, როდესაც ორი ან მეტი ტერმინი ერთსა და იმავე საზღვაო ცნებას აღნიშნავს ან იმდენად ახლო მნიშვნელობა აქვთ, რომ პროფესიურ პრაქტიკაში ერთის ნაცვლად მეორეც გამოიყენება. გამომდინარე იქედან, რომ ინგლისური ენა წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ენას და მისი ცოდნა პროფესიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელი პირობაა ყველა მეზღვაურისთვის, შესაბამისად ნაშრომი ძირითადად ემყარება აღწერით მეთოდს, მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიტიკური დაკვირვებისა და სემანტიკური ანალიზის მეთოდებს სინონიმის მაგალითებზე, რომლებსაც იყენებს ქართველი მეზღვაური ორივე ენაში, როგორც ქართულში, ისე ინგლისურშიც.

**საკვანძო სიტყვები:** სინონიმია, საზღვაო ტერმინოლოგია

**შესავალი.** ტერმინი განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, რომელიც სამეცნიერო ცნებას აღნიშნავს და, ამდენად, უზრუნველყოფს სპეციალისტთა შორის კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში. ტერმინთა ერთობლიობას კი ტერმინოლოგია ეწოდება, მაგ. საზღვაო ტერმინოლოგია არის საზღვაო ტერმინთა ერთობლიობა, სამედიცინო ტერმინოლოგია - სამედიცინო ტერმინთა ერთობლიობა და ა.შ. ტერმინის ბუნების უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია მისი სემანტიკური დახასიათება. ტერმინს ძირითადად აღწერენ როგორც მონოსემიურ სიტყვებს, რომლებსაც არ უნდა ჰქონდეს პოლისემია, სინონიმია; სიტყვებს, რომლებიც ზუსტად უნდა ასახავდეს შესაბამისი ცნების შინაარსს, უნდა გამოირჩეოდეს ლექსიკური სისტემურობით, ექსპრესიულად და ემოციურად უნდა იყოს ნეიტრალური, უნდა იყოს

მოკლე და სხარტი. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ახასიათებს ტერმინთა დიდ ნაწილს, თუმცა არა ყოველთვის. ტერმინოლოგია, ზოგადად, დიდი სინონიმით არ ხასიათდება, მაგრამ საზღვაო სფეროში გვხვდება ტერმინთა სინონიმის არაერთი შემთხვევა.

ტერმინთა სინონიმის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია, როდესაც ქართული ტერმინის გვერდით ფეხს იკიდებს საერთაშორისო ტერმინი, ან პირიქით, უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინისათვის იქმნება ქართული შესატყვისი, ან ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთო ენის კუთვნილი სიტყვა იძენს ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას. შესაბამისად, ტერმინოლოგიის კიდევ ერთი თავისებურება უკავშირდება ტერმინთა სინონიმას.

**შედეგები და მსჯელობა.** სინონიმია საზღვაო ტერმინოლოგიაში არის ისეთი ენობრივი მოვლენა, როდესაც ორი ან მეტი ტერმინი ერთსა და იმავე საზღვაო ცნებას აღნიშნავს ან იმდენად ახლო მნიშვნელობა აქვთ, რომ პროფესიურ პრაქტიკაში ერთის ნაცვლად მეორეც გამოიყენება. თუმცა, საზღვაო დარგშიც სინონიმია არასასურველია. შეიძლება ვთქვათ, რომ სინონიმები ტერმინოლოგიური ენის კიდევ ერთი პრობლემაა. სინონიმის დ. ს. ლოტე ტერმინოლოგიის დიდ ნაკლს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ისინი ზედმეტად ტვირთავენ მახსოვრობას და ქმნიან საშიშროებას, რომ ზოგიერთი ერთმანეთისაგან ავტორის მიერ არასწორად იქნეს გამოიყენებული (ლოტე, 1968: 9-10). მეტად საინტერესოა ტერმინოლოგიაში სინონიმების ბუნება და ფუნქცია. აქ ისინი ერთ ცნებას ეხებიან და არ აქვთ ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია, არც სტილისტური ნიუანსები, ამიტომაც მათ ეწოდებათ დუბლეტები (ტოლიკინა, 1971: 78-79). სინონიმური წყვილები ერთგვარ ობიექტურ სინამდვილეს ასახავენ და ერთი აღსანიშნზე მიუთითებენ, მათ ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს — ეს მათი ნომინაციური ფუნქციაა: ისინი ერთსა და იმავე დენოტანს, საგანს, მოვლენას აღნიშნავენ.

იმგვარ სინონიმებს, რომლებიც არც მნიშვნელობით, არც კონტექსტურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აბსოლუტურ სინონიმებს, ანუ ლექსიკურ დუბლეტებს ეძახიან. აქ სინონიმურ წყვილში მნიშვნელობა ემთხვევა ერთმანეთს.

ქართული საზღვაო ტერმინების სინონიმური დუბლეტები, მწკრივები:

ანემომეტრი		ქარსაზომი	
კვანძი		ნასკვი	
გემი		ხომალდი	
წნეხი		პრესი	
საჭე	ტიმონი	დიუმენი	აფთიონი ძვ.ქ
სივრცე	განი	არე	
სილა	ქვიშა		
ხოპი	ნიჩაბი		
საჭე	ხალასი	სამართი	
საბელი	თოკი	ბაგირი	
ცალფა	ნიში	ვარცლი	

სინონიმებს შეიძლება არა მხოლოდ წყვილი სიტყვები ქმნიდეს, არამედ სამი, ოთხი და მეტი ერთეულიც ერთიანდებოდეს და ერთ სინონიმურ მწკრივს იძლეოდეს. გამოიყოფა ერთი ძირითადი სიტყვა ანუ დომინანტი, დანარჩენი კი ნიუანსებს შეიცავს. ამგვარი სინონიმური მწკრივები ახასიათებს ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიას. გამომდინარე იქედან, რომ ინგლისური ენა წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო საკომუნიკაციო ენას და მისი ცოდნა პროფესიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მეზღვაურმა მიიღოს გემზე მუშაობის უფლება, მეზღვაურისთვის ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა გათვალისწინებულია საერთაშორისო საზღვაო კონვენციის „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ (STCW 78/79) სტანდარტებითაც, შესაბამისად ჩვენი კვლევის **მეთოდოლოგიურ** საფუძველს წარმოადგენს აღწერილი მეთოდი, რომელიც მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიტიკური დაკვირვებისა და სემანტიკური ანალიზის მეთოდებს სინონიმის მაგალითებზე, რომლებსაც იყენებს ქართველი მეზღვაური ორივე ენაში, როგორც ქართულში, ისე ინგლისურშიც.

მწკრივები, რომლებიც გვხვდება ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში, მაგალითად:

1. **Harbor**, shelter – ნავსადგური
2. **boat**, vessel, ship, craft – გემი, ხომალდი
3. **place**, position, location, station – ადგილი, ადგილმდებარეობა
4. **rescue**, save – გადარჩენა, დახმარების გაწევა
5. **method**, mode, manner, way ხერხი, მეთოდი
6. **lift**, rise, hoist, rear, elevate, heave – მალა აწევა
7. **command**, order, direct, instruct – განკარგულების მიცემა
8. **help**, aid, assist – დახმარების გაწევა

ძირითადი ენის ლექსიკურ სისტემაში სინონიმთა ორ ჯგუფს გამოყოფენ:

ა) ლექსიკური ჯგუფი

ბ) გრამატიკული ჯგუფი (მორფოლოგიურს, სინტაქსურს)

ლექსიკურ-სემანტიკური საზღვაო სინონიმთა ჩვენ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დავინახეთ, გრამატიკული სინონიმები ფუნქციურად მსგავსი გრამატიკული მაჩვენებლების მქონე ერთნაირ სიტყვებს ეწოდება, მაგალითად:

ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში გვხვდება შემდეგი ტერმინები:

Disconnection / disconnecting – განცალკევება/განაცალკევებს

Encasing / encasement – ფუთავს/ კორპუსი

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიაში გვხვდება შემდეგი ტერმინები:

**სამკუთხიანი / სამკუთხა**

**მიუვალი/მიუდგომელი/გაუვალი**

**უმრეტი/ დაუმრეტელი**

სტილისტური სინონიმები ერთგვარი სემანტიკის მქონე სიტყვებია, ამიტომ ისინი არ გვხვდება საზღვაო დარგში.

საზღვაო ტერმინოლოგიაში სინონიმების გაჩენის მიზეზი არის ტერმინების ფორმირების სხვადასხვა წყარო (დანილენკო,1977: 73). ქართული საზღვაო ტერმინის გვერდით ფებს იკიდებს საერთაშორისო ტერმინი, როგორცაა მაგ:

ქართული ტერმინი	საერთაშორისო ტერმინი
1.აირი	გაზი
2. მინანქარი	ემალი
3.საწური	ფილტრი
4.განმხოლოება	იზოლაცია
5.დაკეცვა	ფოლდინგი

ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში გვხვდება ისეთი სინონიმები, როდესაც ამა თუ იმ ტერმინის როლში „ყოფითი“ სიტყვებია გამოყენებული (პროცესისა და თვისების კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებიდან), მაგალითად:

1. ქანაობა / რხევა / რწევა
2. მსხვრევა / მტრევა
3. მონიშვნა / აღნიშვნა
4. საყრდენი/საბრჯენი
5. სახელური / ტარი
6. რიგი / მწკრივი
7. საზეთი /საპოხი
8. ჩქარი/ სწრაფი
9. მყარი / მაგარი

სინონიმია განსაკუთრებით დამახასიათებელია ტერმინოლოგიის ფორმირების საწყის ეტაპზე, როცა მეცნიერული ცნება ხშირად წარმოდგენილია ტერმინების ანალოგიებით (კუტინა,1970:85). ასეთი ტერმინოლოგიური სერიები დიდხანს არ არსებობს. ამიტომ სინონიმია ტერმინოლოგიაში შედარებით მცირე მოცულობით ჩნდება, ვიდრე საერთო ენაში, და როგორც პოლისემია, რეგულაციას ექვემდებარება. ტერმინი არ არის განსაკუთრებული სიტყვა, ის განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელი სიტყვაა; ამიტომ მას, როგორც სხვა ნებისმიერ ზოგადსალიტერატურო სიტყვას, უნდა ჰქონდეს მსგავსი ლინგვისტური კატეგორიები, ეს ეხება სინონიმებსაც.

ცნობილია, რომ სინონიმთა არსებობა საერთო-სალიტერატურო ენაში უფრო მეტია ვიდრე ტერმინოლოგიაში და ის დადებით მოვლენადაა მიჩნეული ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით. რაც უფრო მეტია სინონიმთა რიცხვე, მით უფრო მდიდარია ენა. სინონიმური ტერმინები საშუალებას გვაძლევს სამეცნიერო ტექსტი უფრო ლამაზად, მრავალფეროვნად გადმოვცეთ. ეს მისწრაფება, რასაკვირველია, ტერმინოლოგიურ ლექსიკაზეც ვრცელდება.

საზღვაო ტერმინოლოგიაში ჭარბობს სემანტიკური და აბსოლუტური სინონიმები. ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიასთან შედარებით ინგლისური საზღვაო ტერმინოლოგია უფრო მდიდარია სემანტიკური სინონიმური წყვილებითა და მწკრივებით. კვლევის შედეგად შეგვიძლია წარმოვადგინოთ არსებითი სახელით გამოხატული სინონიმური წყვილები ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში.

- 1.mouth/flow –ნაკადი
- 2.bow-/fore –ქიმი
- 3.stern /aft –კიზი
- 4.bollard/ bitt /dolphin –კნეხტი
- 5.ropе / line/ hawser –ბაგირი
- 6.wheel /helm –საჭე
7. cable/ chain –ჯაჭვი
- 9.care / caution –სიფრთხილე
- 10.shore / coast– სანაპირო
- 11hull/shell –კორპუსი

ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები ზმნით გამოხატული სინონიმური წყვილებისა ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში. ავლნიშნავთ, რომ ზოგიერთი მათგანი გამოირჩევა ნიუანსობრივი სხვაობით. მაგალითად:

- 1.reduce / decrease– შემცირება
- 2.include / involve –ჩართვა,შეცვა
- 3.avoid / escape– თავიდან არიდება
- 4.sail / swim– ცურვა
- 5.embark / board –ასვლა გემზე
- 6.operate / run –მართვა, მუშაობა

საანალიზო მასალა გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში მოიპოვება უფრო მეტი სინონიმური წყვილი, ვიდრე ქართულში.

**დასკვნა.** ამგვარად, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ და დიდი რაოდენობით ტერმინების წარმოქმნამ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროში, გამოიწვია ტერმინთა სემანტიკური მახასიათებლების ცვლილება. ენამ აამოქმედა რა მის ხელთ არსებული რესურსები ახალი ცნებებისთვის სახელის დასარქმევად, გახშირდა საერთო ლექსიკის სიტყვების გამოყენება ტერმინოლოგიაში, ასევე უკვე არსებული ტერმინების გადასვლა ერთი დარგიდან მეორეში, როგორც მონათესავე დარგებში, ისე სრულიად არამონათესავე დარგებში, მომრავლდა ტერმინოლოგიური აბრევიატურები, მრავალსიტყვიანი ტერმინები, გახშირდა ტერმინთა სინონიმია და სხვა.

ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი სინონიმთა ლიკვიდაციას გვთავაზობს ტერმინოლოგიის მოწესრიგებისთვის, ჩვენი აზრით, საკმაოდ რთული ამოცანაა. ერთი ხელის მოსმით ტერმინთა გაუქმება შეუძლებელია. სინონიმური ტერმინების ნაკლად იმასაც ასახელებენ, რომ მათ მოაქვთ ზიანი ურთიერთგაგების თვალსაზრისით,

რადგანაც შესაძლოა საზოგადოებამ ეს სხვადასხვაგვარად აღიქვას. მიუხედავად ნეგატიური დამოკიდებულებასა, სინონიმების არსებობა ტერმინოლოგიურ სისტემებში რეალური ფაქტია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- მარგალიტაძე, თ. ნაშრომი „ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში“  
დამბაშიძე, რ. (1986) *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები*. თბილისი.
- ლლონტი, ა. (1988). *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*. თბილისი.
- რიჭკოვი, რ. (2010). *რუსულ-ინგლისურ-ქართული საზღვაო ლექსიკონი*. ბათუმი.
- ფუტყარაძე, ნ. (2018), „ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები (ინგლისურ მასალაზე დაყრდნობით), (დისერტაცია), ბათუმი 2018
- Арнольд, И. В. (1973). *Лексикология современного английского языка*. Москва.
- Бобин, В. И. (2005). *Терминологический справочник капитана по ведению дел и документации на английском языке*. Москва.
- Akmajian, A., & Demers, R. (1995). *Linguistics an introduction to Language and Communication*. Cambridge
- Bezhanovi Z. A., (2010) *Guide to Maritime English*, Batumi.
- Yule, G., (2006). *The study of Language*. Cambridge.
- Fromkin, V., & Rodman, R. (2003). *An introduction to Language*. USA.
- Oxford English Dictionary on Historical Principles (OED)*. (1989). Oxford University Press.

## Synonymy in Maritime Terminology

### Abstract

One of the significant features of terminology is related to the increase in terminological synonymy. Synonymy in maritime terminology is a linguistic phenomenon in which two or more terms denote the same maritime concept, or are so close in meaning that they can be used interchangeably in professional practice. Since English is recognized as the international maritime language, and its proficiency, along with professional competence, is an essential requirement for every seafarer, this study is based on a descriptive method and includes analytical observation of linguistic material as well as semantic analysis. The discussion of synonymy is presented through examples that are used by Georgian seafarers in both the Georgian and English languages.

**Keywords:** Synonymy, Maritime Terminology